ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. ზუგდიდი **31 დეკემბერი, 2014 წელი**

ერთის მხრივ, **ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი გოგოხიას სახით და მეორეს მხრივ,**ინდივიდუალური საწარმო „გონელ მანია“**(შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ინდ. მეწარმე გონელ მანიას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულებას კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო „შემსყიდველი“ ვალდებულებას კისრულობს აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2 ხელშეკრულების საგანია 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისაგან“ქალაქ ზუგდიდში ერისთავის ქ. №3-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის გადახურვის სამუშაოების (CPVკოდი: **- 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები; - 45260000 - გადახურვისა და სხვა სპეციალური სამშენებლო სამუშაოები; - 45261210 - სახურავის გადახურვა**) შესყიდვა, ხელშეკრულების დანართისმიხედვით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის“ 10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ“ – ქვეპუნქტის შესაბამისად (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2551 განკარგულება).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესასრულებელი სამუშაოს მთლიანი, ჯამური ღირებულება დანართის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და სხვა ხარჯების გათვალისწინებით შეადგენს **16485** (თექვსმეტი ათას ოთხას ოთხმოცდახუთი) ლარს.
(ბიუჯეტის კოდი: - 030206 - შენობა-ნაგებობებისა და სახურავების რეაბილიტაცია).

3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1 „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების (ფორმა №2) ექსპერტიზაზე წარდგენა (ესპერტიზის ხარჯებს გასწევს „მიმწოდებელი“).

3.2 სამუშაოს დაწყების ვადაა ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან და უნდა დასრულდეს **40** (ორმოცი) სამუშაო დღეში, სამუშაოების შესრულების გეგმა–გრაფიკის მიხედვით.

4. მიღება–ჩაბარების წესი

4.1 შესასრულებელი სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიღების აქტი) გაფორმების შემდეგ.

4.2 შესასრულებელი სამუშაოს მიღება მოხდება სამუშაოების დასრულებისთანავე ან ეტაპობრივად, მიღება–ჩაბარების აქტების საფუძველზე.

4.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღებას ახორციელებენ „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც სამუშაოების მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება–ჩაბარების აქტს.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" განხორციელდება შესრულებული სამუშაოს მიღების შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორების სახით, „მიმწოდებლის" საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის ფორმით.

5.2 შესაძლებელია „მიმწოდებლის" მიერ წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში „შემსყიდველის" მიერ განხორციელდეს წინასწარი ანგარისწორება „მიმწოდებელთან" ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 50%-ის (ორმოცდაათი პროცენტი) ოდენობით, წინასწარ მოთხოვნილ თანხაზე შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის და საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში (საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 20 (ოცი) დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას).

5.3 საბანკო გარანტიით გაცემული თანხის შესაბამისი ოდენობის სამუშაოთა აქტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში „შემსყიდველი" იტოვებს უფლებას გარანტიით გათვალისწინებული მოქმედების ვადის გასვლამდე 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე მოითხოვოს გარანტიით გაცემული საავანსო თანხის დაბრუნება.

5.4 ანგარიშსწორებას„შემსყიველი" განახორცილებს, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს გათვალისწინებით შესაბამისი საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის, ფორმა №2–ის, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურისა (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტის) და წერილობითი მომართვის წარდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში („მიმწოდებელს" 80% აუნაზღაურდება ფორმა №2–ის მიხედვით, ხოლო 20% ექსპერტიზის აქტის წარმოდგენის შემდეგ). შესაძლებელია განხორციელდეს შუალედური გადახდები, აღნიშნული პირობების დაცვით (შუალედური გადახდები არ განხორციელდება, სანამ არ შესრულდება ხელშეკრულების ღირებულების მინიმუმ 30%–ის მოცულობის შესაბამისი სამუშაოები).

6. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1 <u>„შემსყიდველი" ვალდებულია:</u>

6.1.1 უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „მიმწოდებლისათვის", წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;

6.1.2 შეუქმნას „მიმწოდებელს" სამუშაო პირობები.

6.2 <u>„შემსყიდველი" უფლებამოსილია:</u>

6.2.1 „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს სამუშაოს შესრულება ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და განსაზღვრულ ვადაში.

6.2.2 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6.2.3 თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლივ განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული სამუშაოს შემოწმება;

6.2.4 „მიმწოდებლისაგან" მოითხოვოს შესრულებული სამუშაოს შესახებ დადგენილი ფორმის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება.

6.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

6.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით შეასრულოს სამუშაო;

6.3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს“ წარუდგინოს შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;

6.3.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლისა და დეფექტის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია შესრულებული სამუშაოებიდან;

6.3.4 სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით, მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს „შემსყიდველს“ შესრულებული სამუშაოს შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება–ჩაბარების აქტი;

6.3.5 დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

6.3.6 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“ შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

6.4 “მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

6.4.1 „შემსყიდველისაგან“ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

6.4.2 მოსთხოვოს „შემსყიდველს“ სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოების განსახორციელებლად ყველა საჭირო დოკუმენტაციის და ინფორმაციის მიწოდება.

7. უფლებების გადაცემა

7.1 „მიმწოდებელს“ არ აქვს უფლება „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება–მოვალეობანი.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე (ათი პროცენტი) მეტი ოდენობით გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. შეტყობინება

10.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

10.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შესრულების საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. გარანტია

12.1 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **5 (ხუთი) წელს**, რომლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია „მიმწოდებლის“ მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში შეასრულოს აღდგენითი სამუშაოები, „შემსყდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

13.1 ფორს–მაჟორული პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას, მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

13.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%–ის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს „შემსყიდველის“ წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

13.3 თუ „მიმწოდებელი“ პირგასამტეხლოს სახით გადახდის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში არ გადაიხდის პირგასამტეხლოს, მას დამატებით დაეკისრება ჯარიმა, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის პირგასამტეხლოს თანხის 0,15%–ის ოდენობით.

13.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%–ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.5 „შემსყიდველს“ უფლება აქვს მოახდინოს პირგასამტეხლოს გამოქვითვა „მიმწოდებლისათვის“ ასანაზღაურებელი თანხიდან ან სახელშეკრულებო ღირებულებიდან დაუკავოს თანხა.

13.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.7 პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

14. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეურულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

14.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმოედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4 მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

15. ფორს–მაჟორი

15.1 მხარეებიარ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

15.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

15.3 მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

16.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

17.1 „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

17.2 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: – დავით ჯაბუა - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის კაპიტალური მშენებლობის, პროექტირების, ხარჯთაღრიცხვისა და ინსპექტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტის დროებით მ/შ; - ლავრენტი კემულარია - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის კაპიტალური მშენებლობის, პროექტირების, ხარჯთაღრიცხვისა და ინსპექტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტის დროებით მოვალეობის მ/შ.

17.3 ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

17.4 „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ინსპექტირების ჯგუფი უფლებამოსილია განახორციელოს შესრულებული ან/და შესასრულებელი სამუშაოსმოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების კონტროლი.

17.5 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა.

17.6 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

17.7 ინსპექტირების ჯგუფი სამუშაოების ადგილას პერიოდულად სამუშაოების მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ჩაატარებს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას, რომელიც გულისხმობს შესრულებული სამუშაოს მოცულობის და ხარისხის კონტროლს.

17.8 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურდება მხოლოდ იმ სამუშაოს ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს „შემსყიდველის“ მიერ დადასტურებული აქტი.

18. დასკვნითი დებულებები

18.1 მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმცია.

18.2 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

18.3 სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო–ტექნიკური პერსონალისა და მუშა–მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70% უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

18.4 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 ივნისამდე.

18.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 3 (სამი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“.

19. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი“	„მ ი მ წ ო დ ებ ე ლ ი“
ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზ. № 45 საიდენტიფიკაციო კოდი: **220416976** საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE69LB0120162253367000	**ინდივიდუალური საწარმო „გონელ მანია“** მისამართი: ქ. ზუგდიდი, სტალინის ქ.№42 კოდი: **19001017167** საბანკო რეკვიზიტები:სს „პრივატბანკი“ ბანკის კოდი: CAVOGE22 ანგარიშის ნომერი: GE17TP0036010020011960
ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი: ..... /ი. ოგანოხია/	**ინდ. მეწარმე** ..... / გ. მანია/

დანართი

ქალაქ ზუგდიდში ერისთავის №3-ში მრავალბინიანი 5 სართულიანი
საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა №5

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება	16485	ლარი
შრომის რესურსი	2585,40	ლარი
სამუშაოთა მოცულობა	738,69	კაც/სთ

№№	ნორმატივის № და შიფრი	სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა		ღირებ. ლარი	
				განზომ. ერთეულზე	საპროექტო მონაცემებით	განზომ. ერთეულზე	სულ
1	2	3	4	5	6	7	8
1	ცხრ 46.-28-2	**სახურავზე არსებული ბურულიდან: მეტალოკრამიტის ქვედა ფენის, დაზიანებულის, ჟოლობის, წინსაფარისა და კეხის დემონტაჟი და დროებით დასაწყობება ადგილზე შემდგომი გამოყენებისთვის 120X3,0+60**	100 მ2		4,40		165,97
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	8,2	36,08	4,6	165,97
2	სნ.დაწ4-02-82 ცხ 10-11-1	**სახურავზე ხის სანივნივე სისტემაზე დამატებით ჯორაკების და დგარების მოწყობა წიწვიანი ჯიშის მასალებით**	მ3		2,72		1983,07
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	23,8	64,74	4,6	297,79
		მანქანები	კაც/სთ	2,1	5,71	6,23	35,59
	სრფ 5.1-28	ხე მასალა დახერხილი II ხარისხის	მ3	1,05	2,86	381	1088,14
		ლურსმანი	კგ	7,2	19,58	3	58,75
	სრფ 4.2-12	ანტისეპტიკური პასტა	კგ	1,96	5,33	6,8	36,25
		ტოლი	გ/მ	3,38	9,19	1,2	11,03
		გამომწვარი შესაკრავი 4მმ სისიქის მავთული (ორწვერად დახვეული) ნივნივების დასაბმელად 158X1,2მ	კგ		38,00	1,8	68,40
		ლითონის ნაჭედები (სკოპები)	ც		148,00	2,5	370,00
		სხვა მასალები	ლარი	3,44	9,36	1,83	17,12
3	სნ.დაწ4-02-82 ცხ 10-36-4	**სახურავის მომატებული ნაწილის მოლარტყვისა და ადგილებზე ძელაკების ჩამატების მოწყობა და ლავგარდანის ალარტყვა ძელაკებით 40X100მმ 144X1,1მ**	100 მ2		1,58		2266,72
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	22,7	35,87	4,6	164,98
		მანქანები	კაც/სთ	2,76	4,36	6,23	27,17
	სრფ 5.20	ხე მასალა დახერხილი II ხარისხის 4,82X1.05	მ3	პრ	5,06	399,0	2018,94
		ლურსმანი	კგ	7	11,06	3	33,18
		სხვა მასალები	ლარი	4,44	7,02	3,2	22,45
4	ცხრ 12-9-1	**წყალშემკრები ჟოლობების მოწყობა სახურავის მთელ პერიმეტრზე არსებული მასალით**	100 გ/მ		1,44		766,34
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	75	108,00	4,6	496,80
		მანქანები	კაც/სთ	2,83	4,08	6,16	25,10
	სრფ 11-43	ამწე საავტომობილო სვლაზე სხვა სახის მშენებლობაზე 10 ტ	მან/სთ	2,83	4,08	25	101,88

		ქოლობის სამაგრი 50%	ც	55	79,20	1,8	142,56
5	ცხრ 12-9-2	**წყალსაწრეტი დასაკიდი ქოლობების მოწყობა 8ცX(15 მ + 3 მუხლით) არსებული მასალით**	**100 გ/მ**		**0,8**		**234,79**
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	27,8	22,24	4,6	102,30
		მანქანები	კაც/სთ	0,22	0,18	6,16	1,08
	სრფ 11-43	ამწე საავტომობილო სვლაზე სხვა სახის მშენებლობაზე 10 ტ	მან/სთ	0,22	0,18	25,0	4,40
	ს/ფ ქარხნული	მუხლი 8X2=16ცალი	ც		16,00	4,0	64,00
		ქოლობის სამაგრი	ც	40	32,00	1,5	48,00
	სრფ 1.3.108	შეღებილი მეტალის ფურცელი სისქ. 0,5 მმ 2X1,25 მ	მ2		1,25	12	15,00
6	ცხრ 12-6-2	**სახურავის ბურულის ხელახლა მოწყობა არსებული მეტალოკრამიტის ფურცლებით სისქით 0,5 მმ მომატებული ნაწილის დახურვით და დაზიანებული 22,6მ2-ის გამოცვლით**	**100 მ2**		**5,844**		**5635,77**
		შრომის დანახარჯი 1.15	კაც/სთ	50,50	295,12	4,6	1357,56
		მანქანები	კაც/სთ	1,06	6,19	6,16	38,16
	სრფ 11-43	ამწე საავტომობილო სვლაზე სხვა სახის მშენებლობაზე 10 ტ	მან/სთ	1,06	6,19	25	154,87
	სრფ 1.5-43	მეტალოკრამიტის ფურცლები სისქით 0.5მმ ნაწილობრივ ჩამატება (148+22,6) X1,18	მ2	პრ	201,00	12,5	2512,50
		შურუპი თვითმჭრელი (ნაწილობრივ დამატებით)	ც	5	1005,0	0,18	180,90
	სრფ 1.5.41	შეღებილი ბრტყელი ფურცელი კეხის მოსაწყობად 40მ	მ2	პრ	14	12,5	175,00
	სრფ 1.5.42	შეღებილი ბრტყელი ფურცელი ლავგარდანის ამოსაჭედად 120X0,6X1,03	მ2	პრ	93,4	12	1120,80
		შურუპი თვითმჭრელი	ც	15,252	1424,54	0,05	71,23
	სრფ 12	სამშენებლო ნაგვის გატანა 15-კმ-ზე	ტ		4,00	6,19	24,76
		სულ ჯამი					**11052,66**
		მათ შორის შრომი ხელფასი				**2585,40**	
		სატრანსპორტო ხარჯები მასალიდან	**5%**			7973,13	**398,66**
							11451,32
		ზედნადები ხარჯები	**10%**				1105,27
		ჯამი					12556,58
		გეგმიური დაგროვება	**8%**				1004,53
		სულ ჯამი					**13561,1**
		საექსპერტო მომსახურების ხარჯები	**1%**				135,61
		ჯამი					**13696,72**
		რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე	**2%**				273,93
		ჯამი					**13970,65**
		დღგ	**18%**				2514,72
		სულ ჯამი					**16485**

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი:

..... / ზ. გოგოხია /

ინდ. მეწარმე

..... / გ.მანია /